



ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება ბორჯომის  
მუნიციპალიტეტის  
ბაკურიანის სარეკრეაციო პარკში

გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის ანგარიში  
და  
გარემოზე ზემოქმედების და სოციალური მართვის გეგმა

მსოფლიო ბანკის დაფინანსებით:

რეგიონული განვითარების მესამე პროექტი (RDP III)

2020 წ. ოქტომბერი

## ქვე-პროექტის აღწერა

წარმოდგენილი ქვე-პროექტით დაგეგმილია ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება ბაკურიანის სარეკრეაციო პარკში. ქვე-პროექტით გათვალისწინებული ტერიტორია მდებარეობს ბორჯომის მუნიციპალიტეტში, თბილისიდან დაახლოებით 185 კმ მანძილზე.

ბაკურიანის სარეკრეაციო პარკი პოპულარული დასასვენებელი ადგილია გარემომცველი მთების და სათხილამურო კურორტების ვიზიტორი ოჯახებისთვის. თვითონ ადგილი (ტურისტული მნიშვნელობის) ტერიტორიას არ წარმოადგენს, თუმცა მას დროებითი შესვენების მიზნით იყენებენ, ზამთრის და ზაფხულის სეზონებზე კი ის მიმზიდველი ადგილია ბავშვებისა და მოზარდებისთვის. აღინიშნება ინფრასტრუქტურის სიმწირე, რადგან არ არის მოწყობილი წრიული ბილიკები ფეხით მოსიარულეთათვის, ხოლო გაუმართავი სადრენაჟე სისტემის გამო შეუძლებელი ხდება პარკით სარგებლობა გაზაფხულზე, თოვლის დნობის პერიოდში. პარკში გვხვდება მხოლოდ არაოფიციალურად დადგმული და პარკისთვის შეუფერებელი სკამები და მაგიდები. ამგვარად, სარეკრეაციო პარკის მდგომარეობა არასახარბიელოა, რაც ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ნაწილების ინტენსიური გამოყენების, ასევე შეუსაბამო მიზნებით მისი მოხმარების და მართვის, გეგმარებისა და ინვესტიციების არ არსებობის შედეგს წარმოადგენს.

პარკი მოიცავს რამდენიმე საჯარო უწყების მფლობელობაში არსებულ რამდენიმე საკადასტრო ერთეულს. კერძოდ, საციგურაო მოედნის და საფეხბურთო მოედნის მიწებს (საკადასტრო კოდები: 64.30.02.038; 64.30.02.037), ორივე დარეგისტრირებულია, როგორც ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკუთრება. პარკის ცენტრალური და ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერიტორიები (საკადასტრო კოდები: 64.30.02.725, 64.30.02.499) ასევე მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია, ხოლო სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე მიწის ნაკვეთები (საკადასტრო კოდები: 64.30.17.075, 64.30.17.076) - სახელმწიფო მფლობელობაში. ამჟამად მიმდინარეობს მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 64.30.02.850) სატყეო ფონდისგან გამორიცხვის პროცესი (იხ. დანართი 2).

ქვე-პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი სამუშაოების შესრულება:

- არსებული საციგურაო მოედნის და მისი საწყობის შენობის დემონტაჟი, ასევე საციგურაო მოედნის უკან არსებული, მანქანების მიტოვებული ატრაქციონის კონსტრუქციის,

არსებული შემოღობვის, ფოლადის ხიმინჯების, ფოლადის ბადის, არსებული დასავლეთის ჭიშკრის, ლითონის ბადის, არსებული ფეხბურთის მოედნის და მისი შემოღობვის, არსებული ტუალეტის, არსებული სათამაშო მოედნის და სავარჯიშო აღჭურვილობის, პარკის არსებული ფუნქციურის - სკამების, სანაგვე ურნების დემონტაჟი;

- გარე განათების და ახალი ელ. მომარაგების სისტემის მოწყობა კაფესა და ადმინისტრაციული და საციგურაო მოედნის დამხმარე სისტემების შენობებისთვის;
- ხრეშის ბილიკების, ფიცარ-ფენილი ბილიკების, პლატფორმების და პანდუსების მოწყობა ხის და ფოლადის მასალებით, მოაჯირების მოწყობა (საჭიროების მიხედვით);
- ჰოკეის გუნდის გასახდელი ოთახის მშენებლობა;
- კაფეს (248.42 მ<sup>2</sup>), საციგურაო მოედნის დამხმარე (180,35მ<sup>2</sup>) და ადმინისტრაციული (82.36მ<sup>2</sup>) შენობების მშენებლობა;
- ფეხბურთის მინი მოედნის (18x28მ) მოწყობა: შემკვრივებული ღორღის მოწყობა, ქვიშის ფენის მოსწორება, ამორტიზატორი ქვესადები, არა-შევესებადი სინთეტიკური ტორფი, გადახურვის მასალად; შემოღობვის და ჭიშკრების, სპორტული განშტოებების მოწყობა;
- საციგურაო მოედნის (60x30 მ) მშენებლობა: საძირკვლების მომზადება, მონოლითური არმირებული არხის და ფილების მოწყობა, ლითონის კონსტრუქციების მომზადება, გარე და შიდა ჰიდრო იზოლაციის მოწყობა, თერმო-საიზოლაციო მინერალური ბამბის, ორთქლ საწინააღმდეგო მემბრანის, თაბაშირის პანელების შეკიდული ჭერების მოწყობა; ალუმინის ფანჯრის სისტემის მოწყობა ჰიდრო-იზოლაციით (4 ც), ორმაგი გარე კარების მხარე და უმაღლესი მინის ელემენტებით;
- საციგურაო მოედნის აღჭურვა გაცივების/გაგრილების დანადგარით - ჰაერით გაცივებადი/გაგრილებადი (სისტემა) (455 კვტ მოქმედი სიმძლავრით + დამცავი ცხაურით; ჰაერის ნაკადით გაცივებადი/გაგრილებადი წყლის ქულერი - გაცივების/გაგრილების 2 სქემით კომპაქტურ ასაწყობ კონსტრუქციაში, მარილწყლის ტემპერატურა: -7/-10°C), მილების გაგრილების სისტემა, ყინულის ჰოკეის მართვის პანელი და ახალი საფარის დაგების ტექნოლოგია;
- ე.წ. „გაბიონის ღობის“ (სიგრძე -55 ნ, სიმაღლე - 1,5- 2მ) მოწყობა პარკის შესასვლელებისათვის და 2 ჭიშკრის მონტაჟი;

- წყალმომარაგების მოწყობა, გასახდელი ოთახის, ადმინისტრაციის, ჯიხურების შიდა წყალგაყვანილობა-კანალიზაციის მოწყობა და მიმდებარე ტერიტორიის სათანადო სადრენაჟე სისტემები;
- პარკინგის სივრცის მოწყობა (5 მანქანისთვის) ხრემის მასალით, მანქანების განაწილების და სხვა სპეციალური საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით;
- პარკის ფურნიტურის მოწყობა - ხით (ფიჭვი/ ლარიქსი), ფხვნილური დაფარვის მქონე ფოლადი: პიკნიკის მაგიდა და სკამები (15 ც), სანაგვე ურნები (50 ც), სკამები (80 ც);
- ნიშნების მოწყობა (14 ც);
- 22 ჯიხურის განთავსება (21 კომერციული კიოსკი და 1 ბუნებრივი ინტერპრეტაციის (დანიშნულების) კიოსკი) და ორი ტუალეტის (კაბინა) (მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის);
- ახალი სათამაშო მოედნის და სავარჯიშო ადგილების მოწყობა;
- მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა და ხეების დარგვა: (წიწვოვანი ხეები (192 ც), ფოთლოვანი ხეები (137 ც), ბუჩქები (5046 ც)); ხელოვნური და ორგანული სასუქის გამოყენება.

კურორტ ბაკურიანის სარეკრეაციო პარკის წყალმომარაგებას უზრუნველყოფს აღნიშნულ პარკზე გამავალი მილსადენი. შენობები დაუერთდება კანალიზაციის ცენტრალურ სისტემას და აღიჭურვება გათბობის სისტემებით.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და ბორჯომის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს: ბორჯომის ცენტრალურ ისტორიულ პარკს შორის (გაფორმებული) ინვესტირების საფინანსო შეთანხმების თანახმად, ბაკურიანის სარეაბილიტაციო სარეკრეაციო ბანკის მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი იქნება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი: ბორჯომის ცენტრალური პარკი.

### გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი

#### (ა) ზემოქმედების შეფასება

აქვს თუ არა ქვე-პროექტს საგრძნობი ზემოქმედება გარემოზე?	ქვე-პროექტს ექნება მცირე უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე, ხოლო (მისი გრძელვადიანი) გავლენა იქნება დადებითი.
---	--

	<p>ძირითადი უარყოფითი ზეგავლენა დაკავშირებულია სამშენებლო ფაზასთან და მოიცავს სადემონტაჟო და საციგურაო მოედნის, კაფეს, ადმინისტრაციული შენობის, ჯიხურების, პანდუსების, პლატფორმების, სათამაშო მოედნების, სავარჯიშო ადგილების და სხვ. მოწყობის სამუშაოებს.</p> <p>შესაბამისად, უარყოფითი გავლენა (ხმაური, ემისიები, სამშენებლო ნარჩენები, მოძრაობის და მისასვლელის დროებითი შეზღუდვა) იქნება გარდამავალი და უმნიშვნელო.</p>
<p><b>რა მნიშვნელოვანი სასარგებლო და უარყოფითი ხასიათის ზემოქმედებები ექნება ქვე-პროექტს გარემოზე?</b></p>	<p>ქვე-პროექტს ექნება გრძელვადიანი დადებითი ზემოქმედება ეკოლოგიურ და სოციალურ გარემოზე - კარგად დაპროექტებული საზოგადოებრივი პარკის მოწყობის საფუძველზე, რაც გააუმჯობესებს ტურისტების მოზიდვას. გაზრდილი ტურისტული ნაკადები დადებით სოციალურ ზემოქმედებას მოახდენს დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესებაზე.</p> <p>ქვე-პროექტის განხორციელება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს არსებული პარკის იერსახის გაუმჯობესებას და ისეთი სარეკრეაციო გარემოს შექმნას, რაც კომფორტული იქნება ნებისმიერი ასაკობრივი ჯგუფის ადგილობრივებისა და ტურისტებისთვის. გარდა აღნიშნულისა, ქვე-პროექტით გათვალისწინებულია მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა და ასობით ხეებისა და ბუჩქების დარგვა, რაც მოახდენს გრუნტის ეროზიის პრევენციას, პარკის სივრცის უზრუნველყოფას ზაფხულში, მწვანე სივრცეების ზრდას პარკში და ა.შ.</p> <p>მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება ეკოლოგიურ და სოციალურ გარემოზე მოკლე-ვადიანია და დაკავშირებულია სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოების შედეგად წარმოებულ მტვერთან და ემისიებთან, რაც გაიზრდება სამშენებლო მექანიზმების ოპერირების პროცესში, ასევე მოსალოდნელია ხმაურის და ვიბრაციის დონეების ზრდა, სხვადასხვა სახის სამშენებლო ნარჩენების გენერირება და სატრანსპორტო მოძრაობის ნაკადის დროებით შეზღუდვა.</p> <p>მძიმე სამშენებლო ტექნიკის მოძრაობა გამოიწვევს ადგილობრივი მოსახლეობის, ტურისტების და პარკის სიახლოვეს არსებულ ბაღსა და სკოლაში მყოფი ბავშვების შეწუხებას.</p>

<p>შეიძლება თუ არა, რომ ქვე-პროექტს გააჩნდეს მნიშვნელოვანი ხასიათის ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობასა და ზემოქმედების ქვეშ მყოფ სხვა პირებზე?</p>	<p>ქვე-პროექტის განხორციელების ეტაპზე შეიქმნება დასაქმების შესაძლებლობები ადგილობრივი მოსახლეობისთვის. აღნიშნული შესაძლებლობები მოკლე ვადიანი და დროებითი ხასიათის იქნება და ნაწილობრივ გააძლიერებს ადგილობრივების ეკონომიკურ მდგომარეობას, სულ მცირე - მოკლე ვადით მაინც.</p> <p>დასაქმების შესაძლებლობებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ შესაძლოა ასევე დროებითი და/ან მუდმივი დასაქმების შესაძლებლობების შექმნაც, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს განახლებული ინფრასტრუქტურის ოპერირებასა და მოვლა-პატრონობასთან.</p> <p>საუკეთესო დადებითი სოციალური ზემოქმედება დაკავშირებული იქნება სარეკრეაციო ადგილების და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ქალაქში, რომელიც გაზრდის ტურისტების ინტერესს რეგიონების მიმართ და თავად შეუწყობს ხელს ტურისტული ინფრასტრუქტურის დამატებითი დარგების და კერძო ბიზნესის განვითარებას.</p> <p>აღსანიშნავია ასევე მოსალოდნელი გრძელვადიანი დადებითი სოციალური ზეგავლენა, კერძოდ: კომფორტული და უსაფრთხო სარეკრეაციო ადგილების განვითარება და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას; საპროექტო ტერიტორიის ზონის გაცოცხლებას; ვიზიტორებისთვის აღნიშნული ადგილის მიმზიდველობის გაძლიერებას; ვიზიტორების და ტურისტების გაზრდილ რაოდენობას; ტურისტების მიერ დანახარჯების ზრდას და ადგილობრივი თემის და ბიზნესის შემოსავლის ზრდას და ა.შ.</p> <p>ქვე-პროექტის განხორციელება არ მოითხოვს მიწის შეძენას და რაიმე სახის ზემოქმედება საკუთრებაზე, საარსებო საშუალებებზე და ბიზნეს საქმიანობაზე, მოსალოდნელი არ არის.</p> <p>სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების პროცესში, პარკი სრულად დაიხურება 12 თვის მანძილზე.</p>
---	---

(B) შემარბილებელი ღონისძიებები

<p>რა ალტერნატივები იქნა განხილული დაპროექტებისას?</p>	<p>განხილულ იქნა პარკის განვითარების რამდენიმე კონცეფციის ვარიანტი: ოჯახური პარკი, სპორტული პარკი და ბუნების პარკი.</p> <p>საბოლოოდ, გენ. გეგმასთან მიმართებაში გათვალისწინებულ იქნა არსებული ტერიტორიის ფაქტორები. აღნიშნული ფაქტორები მოიცავს ტოპოგრაფიას, მისასვლელს, დაერთებას კომუნიკაციებზე, დასახლებასთან მიმართებაში ადგილმდებარეობის განსაზღვრას და განსაკუთრებით, დენდროლოგიას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს არსებული ხეების გაწირვა. შესაბამისად, გთავაზობთ შემდეგი სახის გენ. გეგმას, არსებული სივრცის ორგანიზების მიზნით: <b>1.</b> ინტენსიური აქტივობები შენარჩუნდება ჩრდილოეთ არსებულ სწორ (ვაკე) ტერიტორიაზე. აღნიშნული ხელს უწყობს მისვლას, შშმ პირების მისვლას, დაერთებას კომუნიკაციებზე და მოიცავს პარკის აღმოსავლეთ-დასავლეთ ჯვარედინ გადაკვეთებს. მნიშვნელოვანია ასევე ისიც, რომ აღნიშნული ახდენს ხეების ამოძირკვის პრევენციას და იძლევა მეზობელი ბაღის და დაწყებითი სკოლის მიერ მისი გამოყენების შესაძლებლობას. <b>2.</b> გარკვეულ დამატებით აქტივობებს შესაძლოა ჰქონდეს ადგილი აღმოსავლეთით არსებულ სწორი ზედაპირის მქონე ტერიტორიაზე. აღნიშნული ასევე უზრუნველყოფს სამხრეთ აღმოსავლეთით მისასვლელს, ტექნიკური მოვლა-პატრონობის მიზნით. ეს უზრუნველყოფს გარემოს დაცვის გაუმჯობესებას და (მდგომარეობის გამოსწორებას) შიდა გზის გამორიცხვით, შესაბამისად, მოხდება მოვლა-პატრონობის ხარჯების შემცირება. <b>3 &amp; 4</b> - დახრილი ტერიტორია ხეებით და ზედა მდელი ბუნებრივად უნდა იქნას შენარჩუნებული, რადგან ისინი საკმაოდ მოშორებულია ბაკურიანის დასახლებიდან და მისვლა მაღალ ნიშნულზე სირთულეს წარმოადგენს.</p> <p>შემოთავაზებული კონცეფცია შემუშავდა არაერთი მხარის, მათ შორის, დაინტერესებული მხარეების და დამკვეთების მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე, ასევე საპროექტო ტერიტორიის შეზღუდვების, ტოპოგრაფიის, დასახლებასთან მიმართებაში (არსებული) ადგილმდებარეობის, არსებული სარგებლობის და შშმ პირების მისასვლელის გათვალისწინებით. სხვა</p>
--	--

	<p>(ვარიანტში) წარმოდგენილი იყო ყველა ცოცხალი ხის შენარჩუნების სურვილი.</p>
<p><b>ზემოქმედების შერბილების რა ღონისძიებებია გათვალისწინებული?</b></p>	<p>პარკის რეაბილიტაციის პროექტის თანახმად გათვალისწინებულია არსებული ლანდშაფტის და ნარგავების შენარჩუნება, პარკის აუთენტურობის შენარჩუნების უზრუნველყოფის მიზნით. პარკში გათვალისწინებული ინფრასტრუქტურა მაქსიმალურად უნდა იყოს შერწყმული არსებულ სივრცესთან. პარკის ტერიტორიაზე დასარგავი ახალი მცენარეების სახეობების შერჩევა მოხდა ადგილობრივი კლიმატური პირობების გათვალისწინებით.</p> <p>სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოების დროს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება შესაძლებელი იქნება შემდეგი ძირითადი პირობების დაცვით: სამშენებლო ტერიტორიის შემოღობვა და შესაბამისი ნიშნების დადგმა მთელ პერიმეტრზე, ნარჩენების სათანადო მართვა და მუდმივი მონიტორინგი, სამშენებლო სამუშაოების წარმოების პროცესში გამოყენებული მექანიზმების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა, სამშენებლო სამუშაოებისთვის ნაკლებად მგრძობიარე პერიოდის (დღის განმავლობაში) შერჩევა, მოსახლეობისთვის შესაბამისი განმარტებების მიცემა, საჭიროების შემთხვევაში.</p> <p>საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს საჯარო სკოლის და ბაღის არსებობის გათვალისწინებით, სამშენებლო და საზედამხედველო კომპანიები შეიმუშავენ უსაფრთხოების ღონისძიებებს, რათა მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა შეძლონ უსაფრთხოდ მისვლა სკოლაში. კონტრაქტორი დანიშნავს კონკრეტულ პირს (ჯანმრთელობის და უსაფრთხოების სპეციალისტი) საპროექტო ტერიტორიაზე, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სამუშაო ტერიტორიის უსაფრთხოებასა და სატრანსპორტო მოძრაობის მართვაზე - მძიმე მექანიზმების გადაადგილების პროცესში.</p> <p>პერსონალს მკაცრად ეკრძალება როგორც პარკში, ასევე მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული დეკორატიული მცენარეების მოჭრა/დაზიანება. სამშენებლო სამუშაოების წარმოების ტერიტორიაზე და მის სიახლოვეს არსებული დიდი ხეები უნდა მოინიშნოს და შემოიღობოს, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ფესვთა სისტემის დაცვა,</p>



	<p>და ხეების ნებისმიერი სახით დაზიანება თავიდან უნდა იქნას აცილებული.</p> <p>ტულეტების და სხვა ობიექტების ჩამდინარე წყლის ჩადინება მოხდება ქალაქის კომუნალურ ქსელში.</p> <p>ოპერირების ეტაპზე მყარი ნარჩენების და კანალიზაციის სათანადო მართვა ხელს შეუწყობს გარემოზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებას და/ან მინიმუმამდე დაყვანას.</p>
<p><b>წარსულში განხორციელებული მსგავსი პროექტებიდან მიღებული რა გამოცდილება იქნა გათვალისწინებული ქვე-პროექტის დიზაინში?</b></p>	<p>„საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს“ (მფფ) ფართო გამოცდილება აქვს სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული საშუალო და დიდი მასშტაბის შენობების და სარეკრეაციო ზონების რეაბილიტაციის ქვე-პროექტების განხორციელებაში. მსგავსი პროექტების განხორციელების საფუძველზე მიღებული გამოცდილების შესაბამისად, ქვე-პროექტით გათვალისწინებულია არა მხოლოდ ბაკურიანის სარეკრეაციო პარკის რეაბილიტაცია, არამედ ასევე ტულეტების და გარე განათების მოწყობა, რის გამოც სარეკრეაციო პარკის ინფრასტრუქტურის გამოყენება შესაძლებელი იქნება როგორც დღისით, ასევე ღამით და ბაკურიანში მყოფ ოჯახებს, ადგილობრივ მაცხოვრებლებს და ვიზიტორებს ექნებათ ბაკურიანის ცენტრში ყოფნით სიამოვნების მიღების შესაძლებლობა თხილამურებით სრიალის დაწყებამდე, სრიალის დროს და სრიალის შემდეგ. პარკი გასართობი და საინტერესო იქნება სხვადასხვა ინტერესის მქონე ადამიანებისთვის და ის უმასპინძლებს სხვადასხვა ტიპის აქტივობებს.</p>
<p><b>ჩართული იყო თუ არა დაინტერესებული თემები ქვე-პროექტის მომზადების პროცესში და გათვალისწინებული იქნა თუ არა მათი ინტერესები და ცოდნა სათანადოდ?</b></p>	<p>COVID-19-ის გავრცელებით შექმნილი ვითარების გამო, ბაკურიანის სარეკრეაციო პარკში ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საჯარო კონსულტაცია შესაძლოა ჩატარდეს დისტანციურად. საკონსულტაციო პროცესის ფორმატის შესახებ მფფ მიიღებს გადაწყვეტილებას, კონსულტაციის დროისთვის მოქმედი ეროვნული რეგულაციების და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) რეკომენდაციების შესაბამისად. კონსულტაციების დისტანციურად გამართვის საჭიროების შემთხვევაში, მფფ სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით შეატყობინებს დაინტერესებულ მხარეებს გარემოზე ზემოქმედების და სოციალური მართვის გეგმის პროექტთან დაკავშირებით</p>

დაგეგმილი საჯარო კონსულტაციების შესახებ. სატელეფონო საუბრის პროცესში მოხდება ინფორმაციის შეგროვება ინტერნეტის ხელმისაწვდომობასთან და ვირტუალური კონსულტაციის ყველაზე მეტად მისაღებ ფორმატთან დაკავშირებით. ისინი, ვისთვისაც კომუნიკაციის საშუალებას მხოლოდ ტელეფონი წარმოადგენს, ინფორმაციას სარეაბილიტაციო სამუშაოების გარემოს დაცვითი და სოციალური ასპექტების შესახებ, მიიღებენ ტელეფონით, ხოლო თუ ისინი მოითხოვენ პროექტის ვიზუალიზაციას და განსახილველ დოკუმენტებთან გაცნობას, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი წარმომადგენლები ესტუმრებიან მათ, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) რეგულაციების და რეკომენდაციების შესაბამისად და გააცნობენ მათ შესაბამის დოკუმენტებს.

მოსალოდნელი საკონსულტაციო შეხვედრების შესახებ დეტალური ინფორმაციის ამსახველი საინფორმაციო ბუკლეტები, განთავსდება ადგილობრივი მაცხოვრებლების მიერ ყველაზე ხშირად მონახულებად ადგილებში.

ინფორმაცია დისტანციური საჯარო კონსულტაციების გამართვის შესახებ, ჩვეულებისამებრ, აიტვირთება სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებ-გვერდზე.

საჯარო კონსულტაციებს გაუძღვება მოდერატორი, (მგფ-ს, მუნიციპალიტეტის, თემის წევრების და სხვ.) ოფიციალურ წარმომადგენლებთან ერთად, რომლებიც გააცნობენ მონაწილეებს ინფორმაციას, წარმოდგენილი ინფორმაციის, ილუსტრირებული მასალის (პრეზენტაციის) უკეთესად აღქმის მიზნით და დისტანციური შეხვედრის მონაწილეებს (მაგ. ინჟინერს, კონსულტანტს, მუნიციპალიტეტის წარმომადგენელს) მისცემენ საკუთარი აზრის გამოხატვის შესაძლებლობას. პრეზენტაციის მსვლელობის პროცესში, თითოეულ მონაწილეს ექნება საკუთარი აზრის გამოხატვის, შეკითხვების დასმის და შესაბამისად, პასუხების მიღების შესაძლებლობა. შეკითხვების/პასუხების რეჟიმის დასრულების შემდეგ, მოდერატორი შეაჯამებს და დახურავს შეხვედრას. საჯარო კონსულტაციების დასრულების შემდეგ, მონაწილეები შეძლებენ გამოგზავნონ დამატებითი და სხვა სახის ინფორმაცია, რისი გადაწყვეტაც მათი აზრით მნიშვნელოვანია - გამოცხადებულ ვადამდე.

	სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გაუქმების შემთხვევაში, კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან გაიმართება პირისპირ შეხვედრების ფორმატში.
--	--

**(გ) კატეგორიზაცია და დასკვნა**

გარემოსდაცვითი სკრინინგის დასკვნა:

1. ქვე-პროექტი უარყოფილია
2. ქვე-პროექტი მიღებულია

ქვე-პროექტის მომზადება მოითხოვს:

1. მცირემასშტაბიანი სამშენებლო და სარეაბილიტაციო საქმიანობების გარემოსდაცვითი ღონისძიებების საკონტროლო სიის შევსებას
2. გარემოზე ზეგავლენის განხილვას, გარემოსდაცვითი მართვის გეგმის მომზადების ჩათვლით

**ქვე-პროექტის სოციალური და კულტურულ რესურსებზე ზემოქმედების სკრინინგი**

ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების სკრინინგისათვის		დიახ	არა
1	არის თუ არა ინფორმაცია ქვე-პროექტის ობიექტების მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ ხელმისაწვდომი და სარწმუნო? (სკრინინგი არ ჩაითვლება დასრულებულად თუ აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი)	<b>X</b>	
2	ქვე-პროექტის განხორციელება შეზღუდავს თუ არა მოსახლეობის ხელმისაწვდომობას სამეურნეო რესურსებზე, როგორცაა მიწა, საძოვრები, წყალი, კომუნალური სამსახურები ან სხვა რესურსები, რაზეც მოსახლეობაა დამოკიდებული?		<b>X</b>
3	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება ცალკეული ინდივიდების ან ოჯახების ადგილმონაცვლეობას ან იქნება თუ არა საჭირო მიწის ნაკვეთის შექმნა (სახელმწიფო ან კერძო, დროებით ან მუდმივად)?		<b>X</b>
4	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება მოსავლის, ხეხილის და სამეურნეო ინფრასტრუქტურის (დამხმარე ნაგებობები, ღობე, არხი, ბელელი, გარე ტუალეტები, სამზარეულოები და სხვა) დროებით ან მუდმივ დაკარგვას?		<b>X</b>
<p>თუ რომელიმე შეკითხვაზე (გარდა პირველი შეკითხვისა) პასუხი არის „დიახ“, მაშინ უნდა ამოქმედდეს OP/BP 4.12 საოპერაციო პოლიტიკა იძულებით განსახლების შესახებ, შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განისაზღვროს OP/BP 4.12-ისა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით.</p>			
ინფორმაცია კულტურული რესურსების უსაფრთხოების სკრინინგისათვის		დიახ	არა
5	საჭიროებს თუ არა პროექტი მიწის სამუშაოებს ისტორიული, არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სიახლოვეს?		<b>X</b>
<p>თუკი პასუხი კითხვაზე 5 არის „დიახ“, მაშინ გამოყენებული უნდა იქნას <b>OP/BP 4.11 ფიზიკური კულტურული რესურსები</b> და შემთხვევით მოპოვებული მასალების მართვა უნდა განხორციელდეს OP/BP-სა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტში მოცემული პროცედურების შესაბამისად.</p>			

გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა

ნაწილი A: ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და საპროექტო ტერიტორიის შესახებ

ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული საკითხები	
ქვეყანა	საქართველო
პროექტის დასახელება	მესამე რეგიონული განვითარების პროექტი (RDP III)
ქვე-პროექტის დასახელება	ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბაკურიანის სარეკრეაციო პარკში
ქმედებების მოცულობა ქვე-პროექტის ფარგლებში	<p>წარმოდგენილი ქვე-პროექტით დაგეგმილია ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება ბაკურიანის სარეკრეაციო პარკში. ქვე-პროექტით გათვალისწინებული ტერიტორია მდებარეობს ბორჯომის მუნიციპალიტეტში, თბილისიდან დაახლოებით 185 კმ მანძილზე.</p> <p>ბაკურიანის სარეკრეაციო პარკი პოპულარული დასასვენებელი ადგილია გარემომცველი მთების და სათხილამურო კურორტების ვიზიტორი ოჯახებისთვის. თვითონ ადგილი (ტურისტული მნიშვნელობის) ტერიტორიას არ წარმოადგენს, თუმცა მას დროებითი შესვენების მიზნით იყენებენ, ზამთრის და ზაფხულის სეზონებზე კი ის მიმზიდველი ადგილია ბავშვებისა და მოზარდებისთვის. აღინიშნება ინფრასტრუქტურის სიმწირე, რადგან არ არის მოწყობილი წრიული ბილიკები ფეხით მოსიარულეთათვის, ხოლო გაუმართავი სადრენაჟე სისტემის გამო შეუძლებელი ხდება პარკით სარგებლობა გაზაფხულზე, თოვლის დნობის პერიოდში. პარკში გვხვდება მხოლოდ არაოფიციალურად დადგმული და პარკისთვის შეუფერებელი სკამები და მაგიდები. ამგვარად, სარეკრეაციო პარკის მდგომარეობა არასახარბიელოა, რაც ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ნაწილების ინტენსიური გამოყენების, ასევე შეუსაბამო მიზნებით მისი მოხმარების და მართვის, გეგმარებისა და ინვესტიციების არ არსებობის შედეგს წარმოადგენს.</p>

პარკი მოიცავს რამდენიმე საჯარო უწყების მფლობელობაში არსებულ რამდენიმე საკადასტრო ერთეულს. კერძოდ, საციგურაო მოედნის და საფეხბურთო მოედნის მიწებს (საკადასტრო კოდები: 64.30.02.038; 64.30.02.037), ორივე დარეგისტრირებულია, როგორც ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკუთრება. პარკის ცენტრალური და ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერიტორიები (საკადასტრო კოდები: 64.30.02.725, 64.30.02.499) ასევე მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია, ხოლო სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე მიწის ნაკვეთები (საკადასტრო კოდები: 64.30.17.075, 64.30.17.076) - სახელმწიფო მფლობელობაში. ამჟამად მიმდინარეობს მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 64.30.02.850) სატყეო ფონდისგან გამორიცხვის პროცესი (იხ. დანართი 2).

ქვე-პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი სამუშაოების შესრულება:

- არსებული საციგურაო მოედნის და მისი საწყობის შენობის დემონტაჟი, ასევე საციგურაო მოედნის უკან არსებული, მანქანების მიტოვებული ატრაქციონის კონსტრუქციის, არსებული შემოღობვის, ფოლადის ხიმინჯების, ფოლადის ბადის, არსებული დასავლეთის ჭიშკრის, ლითონის ბადის, არსებული ფეხბურთის მოედნის და მისი შემოღობვის, არსებული ტუალეტის, არსებული სათამაშო მოედნის და სავარჯიშო აღჭურვილობის, პარკის არსებული ფურნიტურის - სკამების, სანაგვე ურნების დემონტაჟი;
- გარე განათების და ახალი ელ. მომარაგების სისტემის მოწყობა კაფესა და ადმინისტრაციული და საციგურაო მოედნის დამხმარე სისტემების შენობებისთვის;

	<ul style="list-style-type: none"> <li>- ხრეშის ბილიკების, ფიცარ-ფენილი ბილიკების, პლატფორმების და პანდუსების მოწყობა ხის და ფოლადის მასალებით, მოაჯირების მოწყობა (საჭიროების მიხედვით);</li> <li>- ჰოკეის გუნდის გასახდელი ოთახის მშენებლობა;</li> <li>- კაფეს (248.42 მ<sup>2</sup>), საციგურაო მოედნის დამხმარე (180,35მ<sup>2</sup>) და ადმინისტრაციული (82.36მ<sup>2</sup>) შენობების მშენებლობა;</li> <li>- ფეხბურთის მინი მოედნის (18x28მ) მოწყობა: შემკვრივებული ღორღის მოწყობა, ქვიშის ფენის მოსწორება, ამორტიზატორი ქვესადები, არა-შევესებადი სინთეტიკური ტორფი, გადახურვის მასალად; შემოღობვის და ჭიშკრების, სპორტული განშტოებების მოწყობა;</li> <li>- საციგურაო მოედნის (60X30 მ) მშენებლობა: სამირკვლების მომზადება, მონოლითური არმირებული არხის და ფილების მოწყობა, ლითონის კონსტრუქციების მომზადება, გარე და შიდა ჰიდრო იზოლაციის მოწყობა, თერმო-საიზოლაციო მინერალური ბამბის, ორთქლ საწინააღმდეგო მემბრანის, თაბაშირის პანელების შეკიდული ჭერების მოწყობა; ალუმინის ფანჯრის სისტემის მოწყობა ჰიდრო-იზოლაციით (4 ც), ორმაგი გარე კარების მხარე და უმაღლესი მინის ელემენტებით;</li> <li>- საციგურაო მოედნის აღჭურვა გაცივების/გაგრილების დანადგარით - ჰაერით გაცივებადი/გაგრილებადი (სისტემა) (455 კვტ მოქმედი სიმძლავრით + დამცავი ცხაურით; ჰაერის ნაკადით გაცივებადი/გაგრილებადი წყლის ქულერი - გაცივების/გაგრილების 2 სქემით კომპაქტურ ასაწყობ კონსტრუქციაში, მარილწყლის ტემპერატურა: -7/-10°C), მილების გაგრილების სისტემა, ყინულის ჰოკეის მართვის პანელი და ახალი საფარის დაგების ტექნოლოგია;</li> </ul>
--	--

- ე.წ. „გაბიონის ღობის“ (სიგრძე -55 ნ, სიმაღლე – 1,5- 2მ) მოწყობა პარკის შესასვლელებისათვის და 2 ჭიშკრის მონტაჟი;
- წყალმომარაგების მოწყობა, გასახდელი ოთახის, ადმინისტრაციის, ჯიხურების შიდა წყალგაყვანილობა-კანალიზაციის მოწყობა და მიმდებარე ტერიტორიის სათანადო სადრენაჟე სისტემები;
- პარკინგის სივრცის მოწყობა (5 მანქანისთვის) ხრემის მასალით, მანქანების განაწილების და სხვა სპეციალური საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით;
- პარკის ფურნიტურის მოწყობა - ხით (ფიჭვი/ ლარიქსი), ფხვნილური დაფარვის მქონე ფოლადი: პიკნიკის მაგიდა და სკამები (15 ც), სანაგვე ურნები (50 ც), სკამები (80 ც);
- ნიშნების მოწყობა (14 ც);
- 22 ჯიხურის განთავსება (21 კომერციული კიოსკი და 1 ბუნებრივი ინტერპრეტაციის (დანიშნულების) კიოსკი) და ორი ტულეტის (კაბინა) (მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის);
- ახალი სათამაშო მოედნის და სავარჯიშო ადგილების მოწყობა;
- მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა და ხეების დარგვა: (წიწვოვანი ხეები (192 ც), ფოთლოვანი ხეები (137 ც), ბუჩქები (5046 ც)); ხელოვნური და ორგანული სასუქის გამოყენება.

კურორტ ბაკურიანის სარეკრეაციო პარკის წყალმომარაგებას უზრუნველყოფს აღნიშნულ პარკზე გამავალი მილსადენი. შენობები დაუერთდება კანალიზაციის ცენტრალურ სისტემას და აღიჭურვება გათბობის სისტემებით.



	<p>საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და ბორჯომის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს: ბორჯომის ცენტრალურ ისტორიულ პარკს შორის (გაფორმებული) ინვესტირების საფინანსო შეთანხმების თანახმად, ბაკურიანის სარეაბილიტაციო სარეკრეაციო ბანკის მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი იქნება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი: ბორჯომის ცენტრალური პარკი.</p>		
<p><b>ინსტიტუციონალური ორგანიზება</b> (მსოფლიო ბანკი)</p>	<p>ჯგუფის ხელმძღვანელი:  როსანა ნითთი</p>	<p>გარემოს დაცვის და უსაფრთხოების სპეციალისტები დარეჯან კაპანაძე - გარემოს დაცვა  სოფიოა გეორგიევა - სოციალური საკითხები</p>	
<p><b>განხორციელების ორგანიზება</b> (მსესხებელი)</p>	<p>განმახორციელებელი ერთეული: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი</p>	<p>სამუშაოთა ზედამხედველი: კომპანია შპს „ეპტისა სერვისიოს დე ინჟინერია“ (Eptisa Servicios de Ingenieria), ესპანეთი</p>	<p>სამუშაოთა კონტრაქტორი: (-----)</p>
<p><b>ადგილმდებარეობის აღწერა</b></p>			
<p>ინსტიტუტის დასახელება, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი</p>	<p>ბორჯომის მუნიციპალიტეტი</p>		
<p>ინსტიტუტის მისამართი, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი</p>	<p>მესხეთის ქ. #3, ბორჯომი ტელ: (0367) 222416224499</p>		
<p>ვინ არის მიწის ნაკვეთის მფლობელი? ვინ არის მოსარგებლე (ოფიციალურად/არაოფიციალურად)</p>	<p>ბორჯომის მუნიციპალიტეტი, სახელმწიფო, ეროვნული სატყეო ფონდი</p>		

**ფიზიკური და ბუნებრივი გარემო**

მდებარეობს ზღვის დონიდან 1,700 მ სიმაღლეზე, ბორჯომის მუნიციპალიტეტში. ბაკურიანი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ადგილია საქართველოში, რადგან ზამთარში ის სათხილამურო კურორტს, ზაფხულში კი დასასვენებლ ადგილს წარმოადგენს. თბილისიდან ბაკურიანში ჩასვლა მხოლოდ სამ საათშია შესაძლებელი (ავტომობილით).

ნოტიო ზღვის ჰავა შედარებით ტენიან კონტინენტურ ჰავაზე გარდამავალია. ბაკურიანის კლიმატი გარდამავალია ნოტიო ზღვის ჰავიდან შედარებით ტენიან კონტინენტურზე. ქალაქის საშუალო წლიური ტემპერატურაა 4.30C. საშუალო ტემპერატურა იანვარში -7.30 C, ხოლო აგვისტოში საშუალო ტემპერატურა შეადგენს 150C. ნალექების წლიური მოცულობაა 734 მმ (28.9 დიუმი). თოვლის სიღრმე დეკემბრიდან მარტამდე 64 სმ-ია (25.2 დიუმი).

სარეკრეაციო პარკი ბაკურიანში პოპულარული დასასვენებელი ადგილია გარემომცველი მთების და სათხილამურო კურორტების ვიზიტორი ოჯახებისთვის. თვითონ ადგილი (ტურისტული მნიშვნელობის) ტერიტორიას არ წარმოადგენს, თუმცა მას დროებითი შესვენების მიზნით იყენებენ, ზამთრის და ზაფხულის სეზონებზე კი ის მიმზიდველი ადგილია ბავშვებისა და მოზარდებისთვის. ერთ-ერთი ძირითადი აქტივობა საციგურაო მოედანია, რომელიც ეწყობა სპეციალურად მოწყობილ ბეტონის ფილაზე, რომელიც გარშემორტყმულია მოკლე კედლით და სკამებით და რომელსაც იყენებს ადგილობრივი წარმატებული ჰოკეის გუნდი. ახლახან იქ ტუალეტიც აშენდა, თუმცა არც ტუალეტი და არც პარკი შშმ პირებისთვის ხელმისაწვდომი არ არის. ელექტროობა და განათება სახიფათოა. სეზონებს შორის პარკის გამოყენება როგორც ჩანს, არ ხდება. პარკში მისვლა გაზაფხულზე გართულებულია სადრენაჟე სისტემის გაუმართაობის გამო.

ძირითადი სპორტული ობიექტები, კერძოდ, საციგურაო მოედანი, ბუნებრივია და საჭიროებს განახლებას. აღინიშნება ინფრასტრუქტურის სიმწირე, რადგან არ არის მოწყობილი წრიული ბილიკები ფეხით მოსიარულეთათვის, ხოლო გაუმართავი სადრენაჟე სისტემის გამო შეუძლებელი ხდება პარკით სარგებლობა გაზაფხულზე, თოვლის დნობის პერიოდში. პარკში გვხვდება მხოლოდ არაოფიციალურად დადგმული და პარკისთვის შეუფერებელი სკამები და მაგიდები. ამგვარად,

	<p>სარეკრეაციო პარკის მდგომარეობა მეტად არასახარბიელოა, რაც ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ნაწილების ინტენსიური გამოყენების, ასევე შეუსაბამო მიზნებით მისი მოხმარების და მართვის, გეგმარებისა და ინვესტიციების არ არსებობის შედეგს წარმოადგენს.</p> <p>პარკი პირობითად სამ ზონადაა დაყოფილი:</p> <p>პირველი ზონა - ყველაზე დაბალი. ტერიტორია არის ვაკე. აღნიშნული ზონა წარმოადგენს კომერციული და ინტენსიური სპორტული აქტივობების (ზონას) მოწყობილი ინფრასტრუქტურით.</p> <p>მეორე ზონა: შუა ზონა. აღნიშნული ზონა წარმოადგენს სპორტის გარე აქტივობების ზონას, ნაკლებად მოწყობილი ელემენტებით. ტერიტორია არის ციცაბო, მაგრამ არა ისე, როგორც მესამე ზონაში. მესამე ზონა ბუნებრივ ტერიტორიას წარმოადგენს.</p>
<p>მასალების, მათ შორის ინერტული მასალისა და წყლის მიწოდების წყაროების მდებარეობა და დაშორება ქვე-პროექტის განხორციელების ადგილიდან</p>	<p>უახლოესი ნაგავსაყრელი მდებარეობს ხაშურში, ქვე-საპროექტო ტერიტორიიდან 50 კმ მანძილზე.</p>
<b>კანონმდებლობა</b>	
<p>ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობა და ქვე-პროექტის ქმედებების განხორციელებისათვის საჭირო ნებართვები</p>	<p>მსოფლიო ბანკის პოლიტიკისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის თანახმად ქვე-პროექტი კლასიფიცირდა, როგორც დაბალი რისკის B კატეგორიის პროექტი.</p> <p>საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობა არ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, დამტკიცებას ან ნებართვას.</p> <p>ეროვნული კანონმდებლობის თანახმად:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>(i) სამშენებლო მასალების შექმნა უნდა მოხდეს ლიცენზირებული მომწოდებლისაგან;</li> <li>(ii) კონტრაქტორი ვალდებულია აიღოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია ინერტული მასალის მოპოვებისათვის (თუ თავად გადაწყვეტს მოპოვებას, ნაცვლად შექმნისა);</li> <li>(iii) კონტრაქტორმა უნდა მიიღოს გარემოსდაცვითი ნებართვა გამონაბოლქვში დამაბინძურებელი კონცენტრაციის მაქსიმალური ზღვრის დადგენის ასახვით და მოამზადოს</li> </ul>

	<p>ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში და შეათანხმოს გარემოს დაცვის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, თუ ასფალტს, ან ცემენტო-ბეტონს აწარმოებს თავად (ნაცვლად შემენისა სხვა მომწოდებლებისაგან);</p> <p>(iv) მიწის სამუშაოების პროცესში წარმოქმნილი ინერტული მასალის (მოჭრილი მიწა და ნატანი გრუნტი) მუდმივი განთავსების ადგილი წერილობით უნდა შეთანხმდეს ადგილობრივ (მუნიციპალურ) გამგეობასთან;</p> <p>(v) იმ შემთხვევაში თუ ყოველწლიურად კონტრაქტორის საქმიანობის შედეგად წარმოიქმნება 120 კგ-ზე მეტი სახიფათო ნარჩენები, ან 200 ტონაზე მეტი არა-სახიფათო ნარჩენი, ან 1000 ტონაზე მეტი ინერტული მასალა (კალკულაცია ხდება კალენდარულ წელთან მიმართებაში), კონტრაქტორი ვალდებულია მოამზადოს ნარჩენების ინვენტარიზაცია და ნარჩენების მართვის გეგმა და შეათანხმოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, დანიშნოს გარემოს დაცვის მენეჯერი და მის შესახებ ინფორმაცია წარუდგინოს საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს ნარჩენების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად;</p> <p>(vi) პროექტის განხორციელების პროცესში ხეების მოჭრის, ან გადარგვის საჭიროების შემთხვევაში, კონტრაქტორი მოახდენს მოსაჭრელი, ან გადასარგავი ხეების ინვენტარიზაციას მშენებლობის დაწყებამდე და შესაბამის დოკუმენტს წარუდგენს საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (წითელი ნუსხის ხეების სახეობებთან მიმართებაში) და ბორჯომის მერიას (ხეების იმ სახეობებთან მიმართებაში, რომლებიც არ არიან წითელ ნუსხაში), ხეების მოჭრის ნებართვის მისაღებად. ნებართვის დოკუმენტში გათვალისწინებული იქნება საკომპენსაციო ზომები, წარმოდგენილი ინვენტარიზაციის საფუძველზე. საკომპენსაციო თანხების ანაზღაურება მოხდება პროექტის ფარგლებში და საკომპენსაციო ქმედებებსაც მშენებლობის კონტრაქტორი განახორციელებს. ხეების მოჭრა უნდა მოხდეს შესაბამისად დანიშნული სპეციალისტის ზედამხედველობის ქვეშ.</p> <p>დაცული უნდა იქნეს GOST და SNIP ნორმები.</p>
--	--

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების საჩივრების მოგვარების მიზნით, შეიქმნა საჩივრების მოგვარების მექანიზმი, მოთხოვნის შესაბამისად. ბორჯომის მუნიციპალიტეტმა დანიშნა პასუხისმგებელი პირი - გოჩა გობრონიძე, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ბაკურიანში, რომელიც მიიღებს, განიხილავს და მოახდენს რეაგირებას პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების საჩივრებზე (ტელ: 595 262 060).

მგფ-ს მხრიდან საკონტაქტო პირია ნუცა გუმბერიძე (ტელ: +995 598 88 20 19; [feedback@mdf.org.ge](mailto:feedback@mdf.org.ge) ; მის: დ. აღმაშენებლის გამზ. #150, მე-4 სართული, 0112, თბილისი, საქართველო).

იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი ვერ მოგვარდება ადგილობრივ დონეზე, საჩივრის შემოტანა მოხდება მგფ-ში. საჩივრების მონიტორინგის მიზნით, მგფ ახდენს ყველა მიღებული საჩივრის, შენიშვნების და იმის, თუ როგორ მოხდება საჩივრის მოგვარება - რეგისტრაციას. საჯარო კონსულტაციების პროცესში, ადგილობრივ მოსახლეობას ეცნობება საჩივრების მოგვარების პროცესის შესახებ და ისინი მიიღებენ ინფორმაციას საკონტაქტო პირების თაობაზე.

